KA000005744531122

№6510-03
13 / აპრილი / 2022 წ.

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ ილია დევიძეს

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ალექსი ლოლიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ილია,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 07.03.2022წწ. 1/5 განგარგულებით და თქვენი 18 მარტის N18 ბრძანებით დეპარტამენტის დამტკიცებული სამოქმედო გეგმის მე-11 და მე-12 პუნქტის შესაბამისად, დაგეევალა ცაგერის რაიონული და ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოების რეაბილიტაცია, რომელთა საპროექტო სამუშაოების შესყიდვის ტექნიკური დოკუმენტაცია მზად არის და ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება, რათა სატენდერო პროცედურების დაცვით შესყიდული იქნეს ცაგერის და ლენტეხის სასამართლოების საინჟინრო-საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ტექნიკურ დავალებით გათვალისწინებულია, სასამართლოებში სახანძრო ჰიდრანტების მოწყობა, თუმცა, სასამართლოებამდე არ არის მიყვანილი შესაბამისი დიამეტრის წყლის მილები. ტექნიკური დავალებით, საპროექტო ორგანიზაციას ევალება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გაითვალისწინოს სახანძრო ჰიდრანტის ქალაქის ქსელზე დაერთება, თუმცა სასამართლოების წითელ ხაზებამდე შესაბამისი ქსელის მიყვანის გარეშე, საპროექტო სამუშაოები სრულყოფილად ვერ გახორციელდება, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შესაბამის კომუნალურ ორგანიზაციაში გაკეთდეს შესაბამისი განაცხადები.

ზემოაღნიშნულ რეგიონებში ოპერირებს შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

სემეკის 26.11.2008წ. N32 დადგენილების დანართის N3-ის შესაბამისად, 90მმ-110მმ ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური დღგ-ის ჩათვლით (ლარი) სხვა მუნიციპალიტეტებში შეადგენს 7000 ლარს, ხოლო თვითმმართველ ქალაქებში 9000 ლარს, თუმცა ამავე დადგენილების მუხლი 18-1 მე-2 პუნქტის საფუძველზე, „(მიერთების მსურველი (განმცხადებელი) ვალდებულია, განაცხადის წარდგენამდე გადაიხადოს განაცხადში ასახული, წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის არანაკლებ 50% (გარდა ამ მუხლის 21 და 22 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა), ხოლო დარჩენილი თანხა გადაიხადოს (თუ მხარეები წერილობით არ შეთანხმდნენ სხვა პირობებზე) წყალმომარაგების დაწყების თარიღიდან 10 დღის განმავლობაში) განაცხადის გასაკეთებლად გადასარიცხია:

1) 50% -3500 ლარის ოდენობით. გადახდის დანიშნულებაში მიუთითონ „**ცაგერის რაიონულ სასამართლოში აბონენტზე N3025890 სახანძრო ჰიდრანტისთვის წლის მიყვანა-მიერთების ღირებულება“;**

2) 50% -3500 ლარის ოდენობით. გადახდის დანიშნულებაში მიუთითონ „**ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოსთვის N3039376 სახანძრო ჰიდრანტისთვის წლის მიყვანის ღირებულება**“.

ასევე განაცხადის გაკეთებისთვის ასევე აუცილებელია, ჩემს სახელზე გაიცეს მინდობილობა.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ საბუღალტრო აღრიცხვის და იურდიულ სამმართველოებს სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი

ალექსი ლოლიშვილი